47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1926 სახელმწიფო გამომცემლობა. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვ.
1.	სილვერი—ე. **ზოლას**	2
2.	სინათლის ქალაქი—ლექსი—კ. **ლორთქიფანიძის**	9
3.	ბორჯომის ხეობაში—კ. **ლეოს**	10
4.	კედლის გაზეთი და მისი ამოცანები—**შანის**	15
5.	ს. ს. რ. კ. პიონერების ცხოვრება და მუშაობა	18
6.	ჩვენ ძმები მსოფლიოში—**ნოვინის**	19
7.	ბავშთა შემოქმედება	21
8.	მეცნიერება და ტეხნიკა	22
9.	გასართობი	24
10.	ფოსტის ყუთი	25

347.

მუშაობა კლასის საქმისათვის იყავ, მუშად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1926
15 ნოემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. კ. ო. ცენტრალური მეთაურის (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ყოველთვიური მაჯუფისათვის

წელიწადი I
№ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ი. სტალინი—ჯუღაშვილი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ლ ვ ე რ ი

სალაშქროდ გასვლა.

პლასსანიდან *) რომ გამოვიდეთ რომის ალაყაფის კარით ქალაქის სამხრეთ ნაწილში, მარჯვენივ; ნიცცას გზაზე, მივადგებით ერთ ცარიელ ადგილს, რომელიც იმ მიდამოში **მიტრას მოედნის** სახელწოდებითაა ცნობილი.

მოედანი გრძელი ოთხკუთხედის მსგავსია, გზის გასწვრივ მდებარეობს და ჩამოშორებულია გზას დატკეპნილი ბალახიანი ზოლით.

მარჯვენა მაარეს მას შემორტყმული აქვს ქოხმახების ჭეჩა, რომელიც ყრუ შესახვევით თავდება; მარცხენა და შიგნითა მხრივ კი შემოვლებული აქვს ორი ხავსმოკიდებული კედელი; კედლებზე, იქით მხრიდან, ატყორცნილია თუთის ხეების ტოტები უშველებელი მამულის, **ჟას-მეიფრენისა**, რომელსაც შესასვლელი გარეთუბნიდან აქვს.

ამგვარად სამი მხრით ჩაკეტილი მოედანი განმარტოებულ ადგილს წარმოადგენს, სადაც გავლით თუ მივა ვინმე.

ძველ დროს იქ სასაფლაო იყო. ჯერ კიდევ 1851 წელს **პლასსანის** **) ძველ მოსახლეობას ახსოვდა ამ სასაფლაოს კედლები; სასაფლაო დიდი ხანია დაკეტილია და არავის აღარ მარხავენ.

მიწა, რომელშიაც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მარხავდენ მკვდრებს, გადამდებ ავადმყოფობას ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილ მწერალს ემილ ზოლას. მასში მთავარ გმირებად გამოყვანილია ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი: მიეტა და სილვერი, რომელნიც არაჩვეულებრივი გატაცებით არიან ჩაბმულნი რევოლუციის ქარცეცხლში. აწერილია აჯანყება, რომელიც მზაგვრელების წინააღმდეგ იყო მიმართული. მიეტას და სილვერის პიროვნება წაუშლელად რჩება ხსოვნაში: მართალია, ისინი ახალგაზრდანი, გამოუცდელნი არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი აღფსიქნი არიან უდიდესი რწმენით რევოლუციისადმი. საერთო საქმე მათ თავის საქმედ მიაჩნიათ და უსიტყვოდ, გმირულად კვდებიან მშრომელთა საქმისათვის.

რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს და იგი ყოველმა მებრძოლმა ადამიანმა უნდა გაიღოს უფრტვინველად; მშრომელთა საქმე პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული,—აი, დიდაზრი ამ მოთხრობისა.

*) ეს მოთხრობა

**) პლასსანი—ქ. პარიზის ერთ-ერთი ნაწილის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობას აჩენდა და ამიტომ სასაფლაოს ახალი ადგილი მიუჩინეს, ქალაქის მეორე მხარეს. ძველი მივარდნილი სასაფლაო კი თანდათან იწმინდებოდა, სუფთავდებოდა და გაზაფხულობით ხშირი მუქ მწვანე ბალახით იფარებოდა.

მალე ბალახეულის და მცენარეების მოუსვენარმა სიცოცხლემ ძველი სასაფლაოს სიკვდილს სძლია; ადამიანის გახრწნის პროდუქტებს ხარბად ნთქავდა მცენარეულობა. ეს რამოდენიმე წლის საქმე იყო.

ყოველივე ეს წინეთ იყო.

უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც **მიტრას მოედანს** განსაკუთრებული სახე აქვს. ქალაქმა მოედანი, უსნიშვნელო ფასში მიაქირავა მიდამოს მეურვეებს, რომელთაც იგი ხე-ტყის **საწყობად** აქციეს.

დახერხილ ხე-ტყეს უკანა კედელთან აწყობენ თანაბარ ფენებად, ფიცარს ფიცარზე, წესიერი კუბის სახით. ეს ოთხკუთხოვანი გროვები, რომელიც ხშირად რამოდენიმე წლის განმავლობაში აწყვია და გარშემო ბალახით იმოსება, **მიტრას მოედნის** ერთ-ერთ სილამაზეს შეადგენს. მათ შორის ვიწრო, ბნელი გასაველები შეიქმნა, რომელსაც განიერ ხეივანში გაპყავხართ, საწყობებსა და კედელს შორის.

ამ ხეივანში, რომლის კედლები ხავსითაა მოცული და ნიადაგი კი თითქოს რბილი ხალითაა მოფენილი, მეფობს მცენარეულობა და თრთოლვის მომყვანი სიჩუმე ძველი სასაფლაოსი.

უეცველია, სასაფლაოს გაწმენდისას აქ ძვლები დაუგროვებიათ, ვინაიდან ახლაც, ფეხით რომ გადასწოოთ ნამიანი ბალახი, ხშირად ნახავთ თავის ქალას ნამტვრევებს.

არავინ არ ფიქრობს ამჟამად ამ ბალახებს ქვეშ მდებარე მიცვალებულთა შესახებ.

როცა დაღამდება, **მიტრას მოედანი** ცარიელდება და უშველებელ შავ უფსკრულს ემსგავსება. მეტადრე ზამთარშია ეს ადგილი განსაკუთრებით საშინელი...

ერთხელ, კვირა დღეს, დაახლოვებით საღამოს 7 საათზე, **მიტრას** შესახვევიდან ფრთხილად გამოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც კედელ-კედელ მიიპარებოდა, და ხე-ტყის ეზოში შეეიდა.

ეს ამბავი 1851 წელს მოხდა. ჰაერნავდა. ბადრი მთვარე განსაკუთრებული ბრწყინვალებით ანათებდა. ხე-ტყის ეზო ახლა ისე საშინელი არ იყო ოვისი სიბნელეთი, როგორც წვიმიან ღამეს.

ახალგაზრდა კაცი რამდენიმე წამს შესდგა მინდვრის ბოლოს და უნდობლად გაჰხედა წყვდიადს. ქურთუკის *) ქვეშ მას გრძელი თოფის კოჭლსა ეჭირა, რომლის ლულა, მიწისკენ დახრილი, მთვარის სინათლეზე პრიალებდა. მან მკერდზე მიიზიდა თოფი და ყურადღებით დაუწყო თვალიერება ეზოს სიღრმეში ფიცრების გროვებით გატყორცნილ ოთხკუთხოვან ჩრდილებს. ჩრდილები სინათლესთან ერთად თეთრი და შავი უჯრებით ჭადრაკის ფიცრის მაგვარ ნახატს ჰქმნიდენ. ეზოს დანარჩენი ნაწილი და მორების გროვები კი ფართედ განათებულ სივრცეს წარმოადგენდა და მხოლოდ ეშეიათად გაიჭრებოდა ჩრდილების შავი ზოლებით. ზამთრის მთვარიან ღამეს, ყინულის სიჩუმეში, დაგროვილი ხე-ტყის ეს რიგები, თითქოს სიცივისაგან გაშეშებული, ადამიანს ძველი სასაფლაოს მყუდროების განუწყვეტელ ძილს მოაგონებდა.

კედელ-კედელ მიიპარებოდა და ხე-ტყის ეზოში შეეიდა.

ახალგაზრდამ სწრაფად შემოავლო თვალი ცარიელ სივრცეს; არც ერთი ცოცხალი არსება, არც ხმაური, არც არავითარი შიში იმისა, რომ დანახავდენ, ან მიპარვით ყურს დაუგდებდენ.

მას უფრო ეზოს სიღრმის შავი ლაქები აწუხებდა. მიუხედავად ამისა, სწრაფი დათვალიერების შემდეგ მან გადასწყვიტა და ჩქარი ნაბიჯით გაიარა ხე-ტყის ეზო. გავიდა რა უშიშარ ადგილს, ნელ-ნელა წავიდა. ახლა იგი მწვანე ხეივანში იყო, რომელიც ფიცრების საწყობის უკანა კედლის გასწვრივ მიემართებოდა. აქ მას საკუთარი ფეხის ხმაც კი არ ესმოდა: გაყინული ბალახი ოდნავ ჭრიჭინებდა მის ფეხქვეშ.

ეტყობოდა, სიამოვნების გრძნობა დაეუფლა მას. უეცველი იყო, რომ მას ეს ადგილი უყვარდა და უშიშრად ჭგრძნობდა თავს, იცოდა რა, რომ კარ-

*) მოკლე, უკალთოგბი ტანსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის მეტს არას შეხვდებოდა აქ. თოფს აღარ მალავდა. შორს წასული ხეივანი შავ თხრილს წაგავდა; ალაგ-ალაგ ფიცრების გროვებს შორის შემოპარული მთვარის შუქი ბალახებს კაშკაშა ზოლითა ჰკვეთდა. სიბნელეც და სინათლეც—ყველაფერი მოცული იყო ღრმა, წყნარი და სევდიანი ძილით. ახალგაზრდა გაჰყვა ხეივანს და მის ბოლოში, სადაც ჟასმეიფრენის კედლები კუთხესა ჰქმნის, შესდგა, მიბრუნდა მეზობელი მამულისაკენ და ყური დაუგდო. არაფერი არ ისმოდა. ის დაიღუნა და ფიცრების გროვაში დამალა თოფი.

აქ, კუთხეში, ძველი საფლავის ქვა ეგდო, ძველი სასაფლაოს გადატანის დროს დავიწყებული; იგი მაღალ სკამს წაგავდა. წვიმებმა დაიფხვიერა მისი კუთხეები, ხავსიც ნელ ნელა ჰფრქნიდა მას, მაგრამ მთვარის სინათლეზე მაინც კიდევ შეიძლებოდა წარწერის ნაწყვეტის ამოკითხვა: **„აქ განისვენებს მარიამი, გარდაცვლილი...“** დრომ ამოშალა დანარჩენი.

ახალგაზრდამ, დამალა რა თოფი, ყური დაუგდო ხელახლა და გადაწყვიტა ქვაზე ასვლა. ავიდა. კედელი მაღალი არ იყო, და იდაყვებით დაეყრდნო მის თხემს. კედელს იქით, თუთის ხეების რიგებს იქით, მან სინათლით გაბრწყინვებული ვაკე დაინახა.

ჟას-მეიფრენი, სწორი და უტყეო, ტილოს უშველებელი ნაჭერივით გაშლილიყო მთვარის შუქზე; ასი მეტრის მანძილზე კაშკაშა ლაქებად მოსჩანდა სახლები და ლატაკთა ქოხმახები.

მოუსვენრად იყურებოდა ამ მხარისკენ ახალგაზრდა; ნელა და გაგრძელებით დარეკა ქალაქის საათმა 7-ჯერ.

იგი სკამზე ჩამოჯდა, თითქოს ხანგრძლივ დასაცდელად მოემზადა. ეტყობოდა, იგი სრულებით არა ჭვრეტნდა სიცივეს. ნახევარ საათს იჯდა იგი უძრავად და დაფიქრებული გაჰყურებდა სიბნელეს.

მართალია, ბნელ კუთხეში მიჯდა, მაგრამ მთვარემ ნელ-ნელა ამოიწია და გაანათა იგი: მისი თავი აშკარად სჩანდა.

იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ასე, 17 წლის, ვაკაციური გარეგნობისა; მისი სახე და ნაზი კანი ამტკიცებდა მის ნორჩობას. თავისებური სილამაზისა იყო ყმაწვილი.

გამხდარი, მოგრძო სახე, მაღალი შუბლი, წამოწეული წარბები, არწივისებური ცხვირი, განიერი უსწორო ნიკაპი და გამოწეული ლოყის ძვლები მეტად უხეშ მოხაზულობას აძლევდა მის სახეს.

მაგრამ ახლა, როცა მისი ლოყები და ნიკაპი ეს-ეს არის დაიფარა პირველი რბილი გერმით, ამ უხეშობას სახის ცალკე ნაწილების მომ[illegible] რბილე აქარწყლებდა, თუმც ეს ნაწილები ჯერ კიდევ მთლად არ დასრულებულიყო.

ნაზი შავი თვალები სავსე იყო ბავშური გამომეტყველებით და მის ენერგიულ სახეს რაღაც სილამაზეს აძლევდა.

მისი სახის ნაკვთები ისეთი გამომეტყველი და მიმზიდველი იყო, ისე სავსე სიცოცხლით, რომ ადგილობრივი ქალები, სამხრეთის მზემოკიდებული შვილები, უეჭველია, ბევრჯერ ჩაფიქრდებოდენ ოცნებით, როცა ივლისის თბილ საღამოზე კარებთან გაივლიდა იგი.

იგი ისევ იჯდა, დაფიქრებული, საფლავის ქვაზედა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მთვარის შუქს, რომელიც ახლა მის მკერდსა და ფეხებს ეცემოდა. იგი საშუალო სიმაღლის იყო, ეოტაოდნავად ჯმუხი.

მისი ხელები მუშაობისაგან მეტად განვითარებულიყო და უხეში გამხდარიყო; ღონიერ ფეხებზე ზონარებით შეკრული სუფთა ფეხსაცმელი ეცვა.

სხეულის სიმაგრის და უხეში ორგანოების მიხედვით, იგი ხალხის შვილი იყო, მაგრამ კისრის ამაყ ტრიალში და თვალების ჭკვიანურ გამომეტყველებაში სჩანდა ყრუ პროტესტი ფიზიკური შრომით ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელიც მას დასწოლოდა.

ეტყობოდა, ეს იყო ერთ-ერთი ნიჭიერი ადამიანი, რომელიც წოდებრიობის ხუნდებში იღუპებოდა.

აი, რატომ ჰგავდა იგი მშიშარს, გაუბედავს, მიუხედავად თავისი ძალ ღონისა; ჭვრეტნობდა, რომ რაღაც აკლდა და კი არ იცოდა, რა გზით აენაზღაურებია ეს ნაკლი.

ამ საღამოს მას მწვანე შარვალი და ქუთუთა ეცვა; რბილი მაუდის ქუდი ეხურა, კეფაზე ოდნავ გადაწეული.

როცა მეზობელ სამრეკლოზე ნახევარი დარეკა, იგი უცბად გამოერკვა ფიქრებისაგან და, დაინახა რა, რომ მთლად განათებული იყო, მოუსვენრად გაიხედა წინ და სწრაფად გადავიდა ჩრდილში, მაგრამ კი ვეღარ გაიხსენა, თუ რის შესახებ ფიქრობდა.

მან იგრძნო, რომ ხელ ფეხი დაებუსა და მოუსვენრობამ შეიპყრო.

იგი ხელახლა წამოდგა, რომ კიდევ ცარიელ და სიჩუმით მოცულ ჟას-მეიფრენისკენ გაეხედა.

ჩამოვიდა მაწყრე და რა ვერ მოიფიქრა, როგორ მოეკლა დრო, გამოიღო ფიცრებიდან თოფი და ტრიალი დაუწყო.

ეს თოფი გრძელი ყარაბინი იყო, რომელიც, უეჭველია, რომელიმე კონტრაბანდისტს ეკუთვნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და; განიერი კონდახით და ლულის უკანა ნაწილის სიდიდით შეატყობდით, რომ ძველი, ტალიანი თოფი იყო, რომელიც ადგილობრივ ჩილინდარს გადაეკეთებია ჩახმახიან თოფად.

ჭაბუკი სიყვარულით ეალერსებოდა თავის თოფს, ოცჯერ მაინც შეაყენა ჩახმახი, თითსა ჰყოფდა ლულაში, ყურადღებით სინჯავდა კონდახს.

ნელ-ნელა გამხნევდა იგი.

ბოლოს მიიდვა ყარაბინი ლოყაზე და ახალწვეულისავით ცარიელ სივრცეს დაუმიზნა.

მალე 8 საათი დარეკა.

ჭაბუკს თოფი ჯერ კიდევ ლოყაზე ჰქონდა, როცა **ჟას-მეიფრენის** მხრიდან ჩუმი, დღლილი და შეპერვისავით ნაზი ხმა მოისმა.

— სილვერ, აქა ხარ?...—სილვერმა გადაადგო თოფი და ერთი ნახტომით საფლავის ქვაზე ავარდა.

— ჰო, ჰო,— უპასუხა მან და ცდილობდა საკუთარი ხმის ხმაური ჩაეკლა.—მოიცა, გიშველი.

ვერც კი მოასწრო ხელის გაშვერა, რომ კედლის მეორე მხრიდან ახალგაზრდა ქალის თავი გამოჩნდა.

უჩვეულო სიმარდით კატასავით აცოცდა ქალი თუთის ხეზე. ქალის მსუბუქ და დარწმუნებულ მოძრაობაში სჩანდა, რომ ამ უცნაურ გზას კარგად იცნობდა.

ერთ წამში იგი უკვე კედლის თხემზე იყო. სილვერმა აიყვანა ხელში და სკამზე დაიყენა, ქალი კი მას ეშორებდა.

— მომეცა,— ეუბნებოდა იგი ცელქი ბავშის სიცილით,— მომეცა... მე თვითონ ჩამოვალ.

შემდეგ, როცა ქვაზე დადგა, უთხრა:

— დიდხანს მიცდიდი?... მე მოვრბოდი, ძლიერ დავიღალე.

სილვერი არ უპასუხებდა.

ეტყობოდა, სიცილისთვის არა სცალოდა; იგი მიუჯდა ქალს.

— მე მინდოდა შენი ნახვა, მიეტა. თუნდ მთელს ღამეს დაგიცდიდი... მე განთიადზე მივდივარ.

მიეტამ მხოლოდ ახლა შეამჩნია თოფი, რომელიც ბალახებში ეგდო.

იგი დადინჯდა და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ა!.. მაშ გადაწყვეტილია.. აი შენი თოფიც.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო,— უპასუხა სილვერმა ქანცმილეული ხმით,— მე განგებ მოვიტანე ახლა ხლიდან: ხვალ დილით დეიდა ჩემი შემამჩნევდა და შეწუხდებოდა.... ახლა აქ დავმალავ ამას და დილას წავიღებრა დაინახა, რომ მიეტა თვალს არ აშორებს თოფს, რომელიც მან ასე მოუფიქრებლად გადაუგდო ბალახებში, ადგა და ისევ დამალა ფიცრებში.

— დღეს დილით გავიგეთ,— სთქვა მან, როცა ისევ დაჯდა,— რომ **პალიუდას** და **სენ-მარტინა დეგოს** აჯანყებულებმა გაილაშქრეს და წუხელი მთელი ღამე **ალბუაზს** იქით გაატარეს.

ჩვენც გადავწყვიტეთ მათთან ერთად ვიმოქმედოთ. დღეს, ნაშუადღევს, მუშების ნაწილი გავიდა **პლასსანიდან**; დანარჩენები ხვალ შეუერთდებიან თავის ძმებს.—სიტყვა „ძმებს“ მან ახალგაზრდული აღტაცებით წარმოსთქვა. შემდეგ, გამხნევებულმა, მთრთოლვარე ხმით დაუმატა:

გამოიღო ფიცრებიდან თოფი და ტრიალი დაუწყო.

— ბრძოლა აუცილებელი შეიქნა, მაგრამ სიმართლე ჩვენს მხარეზეა და ჩვენ გავიმარჯვებთ!

მიეტა ყურს უგდებდა სილვერს, გაშტერებული იყურებოდა წინ და ვერაფერს კი ვერ ხედავდა. როცა სილვერი გაჩუმდა, მან უბრალოდ უთხრა:

— ეს კარგია. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — შენ მე მაფრთხილებდი... მაგრამ მე მაინც იმედი მქონდა... ჰო, ეს გადაწყვეტილია.

სხვა სიტყვები მათ ვეღარ მოეწახათ.

ხე-ტყის ეზოს ცარიელ კუთხესა და მწვანე ხეივანში კვლავ სევდიანი სიჩუმე ჩამოვარდა; მხოლოდ მთვარეს არ ეძინა; ჩრდილი ნელ-ნელა მიცურავდა ბალახებზე ფიცრის საწყობიდან; მის მიერ ფერმკრთალი სინათლით გაბრწყინებული ახალგაზრდანი საფლავის ქვაზე გაჩუმებულიყვნენ და უძრავად ისხდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეტას განიერი მუქი წამოსასხამი ეცვა, რომელიც მიწას ეხებოდა და მთლად ჰფარავდა მას. გლეხქალები ახლაც ატარებენ ამგვარ წამოსასხამებს პროვანსში; ის ძველადგანვეა ხმარებაში.

მიეტა 13 წლის იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ღონიერი იყო, მაინც მეტი ხნისას არ ჰგავდა, რადგანაც მის სახეს ბავშური მიამიტობის ბეჭედი ესვა,

ის თითქმის სილვერის სიმაღლის იყო, მასში ძლიერად სჩქეფდა სიცოცხლე. მიეტა, თავისი მეგობარივით, არ იყო ლამაზი, არც გონჯი, რაღაც უცნაური იყო. მაგრამ მისი საუცხოო თმები პირდაპირ იყო აწეული შუბლიდან და ტალღასავით ვარდებოდა კისერზე, როგორც ურჩი ზღვა, ხუჭუჭი და მელანივით შავი; ისე ხშირი იყო მისი თმები, რომ არ იცოდა, როგორ მოჰქცეოდა: უშლიდენ ხელს. რამდენიმე ნაწნავად დასწნავდა ხოლმე, თვითეულს ბავშის მუშტის სიმსხოდ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაეჭირა და შემდეგ კი კისერზე დაიგრეხდა.

იგი მიუჯდა ქალს.

შავი დიდი თვალები, მოკლე, ცოტა ზევით აწეული ცხვირი განიერი ნესტოებით, მეტად სქელი და ალისფერი ტუჩები თუმც ცალკ-ცალკე აღებული ულამაზო იყო, მაგრამ მთელი სახე, სიცოცხლით სავსე, უცნაური მშვენების მატარებელი იყო.

მიეტა და სილვერი კარგახანს იყვნენ ჩუმად. ისინი თავის მოუსვენარ ფიქრებს მიეცენ.

სულის სიღრმეში მიჩქმალეს მათ თვისი მღელვარე გრძნობები, გრძნობდენ რა, რომ უსარგებლო და უადგილო იყო ხმამაღალი ჩივილი და მოთქმა.

მაგრამ მაინც ველარ შეიკავა თავი. ... აღელვებულმა გამოსთქვა ის, რაც მათ სულში იყო დამალული.

სილვერმა არაფერი არ უპასუხა: ეშინოდა, ქვითინი არ აეერდნოდა, რადგანაც მომდგარი ცრემლები ახრჩობდა მას, მხოლოდ აკოცა ლოყაზე, ს

ეროვნული

ლი, როცა ძია უხეშად მექცევა და მეტს მამუშავებს. ის სრულიად მართალია, რადგანაც გლეხქალად უნდა გადამაქციოს; სილვერ, ზოგჯერ მე მგონია, თითქოს რაღაც წყეულვა-კრულვა მაწევს თავზე..

მაშინ სიკვდილი მომინდება ხოლმე .. შენ იცი, რის შესახებაც ვფიქრობ მე.

ქვითინმა დაფარა ქალის უკანასკნელი სიტყვები. სილვერმა თითქმის უხეშად გაიწყვეტინა მას:

— გაჩუმდი, სთქვა მან.—შენ დამპირდი, რაც შეიძლება ნაკლებ გეფიქრა მაგის შესახებ. ეგ შენი ბრალი არაა.

უფრო რბილი ხმით კი დაუმატა:

— ჩვენ ერთმანეთი ძლიერ გვიყვარს, არა? როცა ვიქორწინებთ, მაშინ აღარ იდარდებ.

— მე ვიცი,—წყნარულლულა მან,—შენ კეთილი ხარ, შენ მამშვიდებ, მაგრამ, რა ექნა, ზოგჯერ მეშინია, ვშფოთდები. მე მგონია, თითქოს შეურაცხყოფას მაყენებენ და მაშინ ბოროტება დაიბუდებს ხოლმე ჩემში. ყოველთვის, როცა კი მამიჩემის სახელს დასცინიან ჩემთან, მთელ სხეულში სიცხეს ვგრძნობ. როცა ქუჩაში მივდივარ და ბიჭები ყვირიან : „ა, შანტეკრელ“, ამ სიტყვებს მე მოთმინებიდან გამოვყავარ, მინდა ვტაცო ხელი მათ და მივტყეპო.

ცოტა ხანს დაჩუმდა და ისევ განაგრძო:

— შენ მამაკაცი ხარ, შენ იცი თოფის სროლა... შენ ბედნიერი ხარ.

სილვერი არ აწყვეტინებდა სიტყვას. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სილვერმა წარმოსთქვა:

— შენ უსამართლო ხარ, მიეტა. წინ არ უნდა აღუდგე მართლმსაჯულებას. მე მივდივარ საბრძოლველად საერთო, საზოგადო უფლებისათვის და არ მინდა ვიძიო შური ვინმე კერძო პირისა.

— სულ ერთია,—სთქვა ქალმა,—მე მინდა მამაკაცი ვყოფილიყავ და იარაღის ხმარება შემძლებოდა. მგონია, რომ მაშინ შვებას ვიგრძნობდი.

სილვერი სდუმდა. ქალი მიხვდა, რომ სილვერი უკმაყოფილო იყო და მხნეობა დაეკარგა. მუდარის ხმით მან წაჩურჩულა:

— არ მიჯავრდები?... შენი დაშორება მანაღვლიანებს და ამგვარ აზრებს მიგროვებს. მე ვიცი, რომ შენ მართალი ხარ, რომ მე უნდა დავმორჩილდე.....

მიეტა აქვითინდა. სილვერს შეეცოდა ქალი. ამა,—უთხრა მან ნაზად, — შენ ბავშვივით მალე გადადიხარ განრისხებიდან ცრემლებზე. გონიერი უნდა იყო. მე შენ არ გტუქსავ... მხოლოდ მინდა უფრო ბედნიერს გხედავდე და ეს კი უმთავრესად შენზედაა დამოკიდებული.

მძიმე დრამამ, რომელიც ნაღვლიანად მოგვანა და მიეტას, ორივე შეყვარებული რამოდენიმე წამით დაალონა თავიანთ ფიქრებში მიდიოდენ, დაგროვილი აზრებით აღშფოთებულნი.

წუთის შემდეგ სილვერმა წარმოსთქვა:—ნუთუ შენ გგონია, რომ მე შენზე ბედნიერი ვარ?—ის უნებლიედ უბრუნდებოდა ნალაპარაკევს. —ბებიას რომ არ ავეყვანე გასაზრდელად, რა გამოვიდოდი... ძია ანტუანის გარდა, რომელმაც რესპუბლიკის სიყვარული მასწავლა, დანარჩენი ნათესავები მერიდებიან, ახლო არ მეკარებიან, თითქოს გავსერი მათ.

წარმოსთქვა ეს სილვერმა მხნედ და შუა გზაზე შეაჩერა მიეტა.

— როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, მე ყველას ვუამბობ ამ ვაებატონების საქციელს. ძია ანტუანი კარგად იცნობს მათ. თვით დაინახავთ ამას, როცა ჩვენ დავბრუნდებით. მაშინ ვიცხოვრებთ მე და შენ თავისუფლად და ბედნიერად.

მიეტა გაიტაცა ოცნებამ. ისევ წავიდენ.

— შენ ძლიერ გიყვარს შენი რესპუბლიკა,—უთხრა ქალმა და თან ხუმრობას ცდილობდა.—მეც ასევე გიყვარვარ?

იგი იცინოდა, მაგრამ ამ სიცილში რაღაც სიმწარე მოსჩანდა. იქნებ მას ეგონა, რომ სილვერისთვის ადვილი იყო ამხანაგების გულისთვის მისი დატოვება.

ჭაბუკმა აღტაცებული ხმით მიუგო:

— მოგეცი შენ ჩემი გული. მე მიყვარს რესპუბლიკა. ჩვენ მრავალგვარი ბედნიერება დაგვჭირდება და ამ ბედნიერების საშოვნელად მივდივარ მე ხვალ დილით... შენ ხომ არ მოინდომებ, რომ მე შინ დავრჩე?..

— ოჰ, არა!—ცოცხლად წამოიძახა ქალმა.—მამაკაცი ძლიერი უნდა იყოს... რა კარგია სიმამაცე: მაპატიე ჩემი იქვი, მე ძლიერ მინდა შენსავით მამაცი ვიყო.

მარცხნივ, გორაკის წვერზე, მთვარით შუქდაფრქვეული ქარის წისქვილის ნანგრევებში მოსჩანდა თეთრად კოშკი, რომელიც გადაურჩა ჟამთა ვითარებას. აქ იყო ახალგაზრდათა სეირნობის საბოლოო მიზანი. ბორეთუბნიდან რომ გამოვიდენ, მათ არც ერთხელ არ გადაუხედიათ მინდვრებისთვის, რომელზედაც მიდიოდენ.

სილვერმა თავი მაღლა აიღო. მან წისქვილი დაინახა.

— როგორ, ჩვენ უკვე მოვედით?—წამოიძახა მან.—აი, წისქვილი.

ახლა ათის ნახევარი იქნება, დროა დავბრუნდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეტა შეიშმუხნა.

— გავიაროთ კიდევ ცოტა,—მუდარის ხმით უთხრა მან,—ცოტა, პატარა ჯვარედინ გზამდის. მართლა გეუბნები. მხოლოდ იქამდის!

წავიდენ და მალე მიახწიეს ჯვარედინ გზასაც, რომელიც მიეტამ აჩვენა; ამ გზით თავდებოდა სოფლისკენ მიმავალი შესახვევი. ისინი განაგრძობდენ სიარულს და თითქოს არ ამჩნევდენ ბილიკს, რომელიც, ერთმანეთისადმი მიცემულ სიტყვის თანახმად, არ უნდა გადაეცვლოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ სილვერმა სთქვა:

— ახლა, უეჭველია, გვიანაა, შენ დაიღლები. მე სიამოვნებით გავივლი კიდევ რამდენიმე ლიოს *)

— არა, გარწმუნებ, არ დავიღლები, —უპასუხა ქალმა.

შემდეგ კი წყნარად დაუმატა:

— გინდა ჩავიდეთ **სენ-კლერის** ველამდის?... იქიდან კი უკან გამოვბრუნდეთ.

ფერდობი თანდათან სწორდებოდა. მდ. ვიორნამდის, რომელიც დაბალი გორაკების გასწვრივ მიმდინარებდა, ვაკეს უმეტეს ნაწილს ველები შეადგენდა. ამ ველებს ეწოდებოდა **სენ-კლერის** ველები, რომლებსაც გზიდან ცოცხალი ღობე ჰყოფდა.

— ოჰ!—წამოიძახა სილვერმა, იგრძნო თუ არა ფეხქვეშ ბალახი,—ჩვენ მალე მივახწევთ ხიდს.

მიეტამ მძლავრად გაიხარხარა.

ახალგაზრდები ხიდის მოაჯირს დაეყრდენ და ქვეკეთ ჩაიხედეს. წვიმებისგან ადიდებული ვიორნა ყრუ ხმაურობით მიექანებოდა მათ ქვეშ. მდინარის სათავის მოხვეულებში შეკუმშულ სიბნელეში ისინი ნაპირებზე მდგომარე ხეების შავს ხაზს არჩევდენ. აქა-იქ წყალში ამონაკრთომი მთვარის შუქი ბრწყინავდა და თრთოდა.

ე. ზოლა.

(განგრძობა იქნება)

*) სატრანგეთის ზომაა, დაახლოებით 4 კლომ. ფდრის.

„ცოდნის გარეშე არ შეიძლება დავამყაროთ კომუნისტური საზოგადოება“

ლ ე ნ ი ნ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლის ქალაქი.

გადამხმარ ველთ შორის
ხმაურით, ღრიალით
მორბოდენ უსაქმო
ზვირთები მტკვარისა...
მორბოდენ; სხივებზე
წინწკლების პრიალით
არღვევდენ დუმილს და
სიმშვიდეს ღამისას.

უწინ ეს მიდამო
ტყით იყო მოსილი,
აქ ძველად მეფეებს
ჰქონდათ ნადირობა,
აქ იმართებოდა
ლხინი და ქორწილი,
რაინდთა ჯირითი,
რაინდთა გმირობა.

დღეს ხსოვნამ წაშალა
ძველ დღეთა გუნდები,
მოვიდა ახალი
სამეფო შრომისა,
მტკარს უკანასკნელი
დაუდგა წუთები—
ზვირთების უსაქმოდ
ველებზე ქროლვისა.

ზურგზე მხედარივით
მოაჯდა ბორბლები,
ცოფიან ტალღებსა
ამოსდეს ალვირი,
გათხარეს ხრიოკი,
დამწვარი გორები,
და ირგვლივ გაისმა
ძახილი საყვირის.

გაირღვა უძლეველ
მტკვარისა ნაპირნი,
და თეთრი ნახშირით
გაბრწყინდა ველები...
და სადაც ძველ დროში
დაძრწოდენ ნადირნი,
გაშენდა ქალაქი
შრომელთა ხელებით.

კ. ლორთქიფანიძე.

საუბრობენ საერთო საკითხის შესახებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოტბოიის ხეიბრობაში



ლექცია გათავდა. ექსკურსანტები ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდენ. ისმოდა სიცილი, ხუმრობა, კანტიკუნტი კამათი მოსმენილი ლექციის შესახებ.

ოთარ ცქვიტიშვილი ჩამორჩა ამხანაგებს. რამოდენიმე წამის სიარული მიხვეულ-მოხვეულ ქედებს შუა—და გაქრა ხალხის ხმაური, აღარ ისმოდა ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა. მხოლოდ ხეები ეტმასნებოდა შრიალით კლდეებს, მხოლოდ მდინარე ხმაურობდა...

ოთარი ჩამოჯდა ქვაზე მდინარე ბორჯომის პირას. პატარა მდინარე, ჩანჩქერებად აქაფებული, შეფეშებად იმსხვრეოდა ქვებზე და მილიონ ბრჭყიალა ნაპერწკლებად იფანტებოდა მზეზე. მისი ხმა, შეუწყვეტელი და გაბმული, ათასნაირ ხმად ლიღლიღებდა და ქუცმაცდებოდა კლდოვან სივრცეში.

მდინარის ხმაური და მოძრაობა თითქოს ნანას ეუბნებოდა ოთარს. ის იჯდა და ფიქრობდა: რა კარგია აქ, რა მყუდროებაა! ასე გგონია, რომ ეს მდინარე ყოველთვის ასე მხიარულად მირბოდა ამ ხევში, ყოველთვის არწევდა ნიავი მთის კალთებზე შეფენილ ცაცხვის ფოთლებსა და ფიჩვების წიწვებს, ყოველთვის ასე შავად გამოიცქირებოდა მაღლიდან მდინარის დაყოლებით გაწოლილი ვეებერთელა კლდეები... ნამდვილად კი...

და მის თვალწინ გადაიშალა ამ ხევის წარსულის ცოცხალი სურათები.

მას გაახსენდა ლექტორის სიტყვები: „ბორჯომის ხეობა წარმოიშვა მეოთხეფური ეპოქის დასაწყისში“... მეოთხეფური ეპოქის დასაწყისი... რა იყო მაშინ?.. რა სთქვა ლექტორმა მეოთხეფური ეპოქის შესახებ?

ჰო... გამახსენდა!—გაიფიქრა მან.

ჯერ უსაზღვრო გავარვარებული აირის სივრცე, შემდეგ აფეთქებული ქვებისა და ლავონის ცეცხლოვანი წიაღვარი. შემდეგ მრავალთ მრავალმა მილიონმა წლებმა გადირბინეს დედამიწის ზურგზე. გამდნარი ცეცხლოვანი მასა დაჰფარა მაგარმა ცივმა ქერქმა, და გაჩნდა წყლის სქელი ორთქლი. მერმე ორთქლი შეიკრიბა ღრუბლებად და წვიმის ღვართქაფად დაესხა დედამიწას.

მერე? ადგილ-ადგილ მიწა ამოიბერა, ადგილ-ადგილ ჩაიზნიქა. გაჩნდა ხმელეთი და ოკეანეები.

შემდეგ გაჩნდა სიცოცხლე—ცხოველები და მცენარეები. ბევრი მილიონი წლების განმავლობაში ვითარდებოდა სიცოცხლე დედამიწაზე. რამდენჯერ სამუდამოდ ჩაიძირა ზღვებში ამ დროის განმავლობაში უშველებელი მთები და მიწის უსაზღვრო, ვეება ნაწილები. რამდენჯერ ამოიბურთა ოკეანეების სიღრმიდან ახალი მთა და ბარი, რამდენჯერ გამსკდარი დედამიწა ასიათასი ვერსის მანძილზე და რამდენჯერ ამოუნთხეფია გულიდან ცეცხლოვანი გამდნარი ქვების ადუღებული მასა და დაუფარავს თვალუწვდენი მიდამოები!

რარიგ იცვლიდა სახეს სიცოცხლე ამ მილიონი წლების განმავლობაში! რას არ მოსწრებია დედამიწა, რას არ გადაუვლია მის ზურგზე, ვის არ უცხოვრია ზედ: გიგანტი გვიმრის ტყეებს, მფრინავ ნიანგებს, სპილოებზე უდიდეს ჯოჯოებს, გედისყელიან უზარმაზარ ხვლიკებს, რომლებსაც უშველებელ ყბებში მგლის კბილები ჰქონდათ!

მაგრამ დრო მიდიოდა და იცვლებოდა ხმელეთი, სხვადასხვა სახის მცენარეები და ცხოველები კვდებოდენ და ქრებოდენ, სამაგიეროდ სხვები ჩნდებოდენ და ვითარდებოდენ და, ბოლოს, ცოტ-ცოტად დედამიწამ თანდათან მიიღო ის სახე, რომელიც ახლა აქვს მას.

ამ დროს ეძახიან სწავლულები „მეოთხეფური ეპოქის“ დასაწყისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეოთხედიური ეპოქა მრავალი ათიათასი წლების წინეთ დაიწყო.

მეოთხედიური ეპოქის ცხოვრება...

ოთარმა დაანება თავი ლექტორის სიტყვების მოგონებას. სიტყვები გადაიქცა სურათებად და ოცნებამ გაშალა მის თვალწინ შორეული წარსული ცხოვრების დიდებული, საშინელი და უცნობი სანახაობანი.

ნეტავი რა მდინარეა, რომ ასეთი ვეება ტალღებით მოიგრაგნება? რასაკვირველია—მტკვარი. მაშინაც მორბოდა ის ამ ადგილებში, იმ მთებში, რომლებიც უკვე ჩაინთქა და გაქრა. მაგრამ რა უზარმაზარია ეს მტკვარი, რა განიერი და ღრმა!

მაგრამ სადღა არი პატარა მდინარეები—ბორჯომი და შავი წყალი?

ვეება ხეების ძირებში დაძრწიან ვეება ლანდები.

ოო, ისინი სრულიადაც არ არსებობენ. არ არსებობს აგრეთვე არც ის ქვიანი პლატო, რომელიც ახლა გადაჭიმულია ამ ორ მდინარეს შუა და ჰყოფს მათ. ამ პლატოს მაგივრად და მთის ღრმა პატარა ხევის მდინარის მაგივრად მოიგრაგნება დიდი, აზვირთებული ერთი მდინარე და ღრიალით ერთვის მტკვარს.

მშვენიერი ამაყი ირემი.

ორივე მდინარის ნაპირები დაფარულია უდაბური, უღრანი, პირველყოფილი ტყეებით.

ოთარს ცოცხლად წარმოუდგა მაშინდელი ერთი მთვარიანი ღამე. მთვარე დაჭაშაშებს თავისი წითელი, გამჭვირვალე შუქით ოდესღაც ყოფილს და გამჭრალ ქვეყანას...

სწორედ ასე გააშუქებს იგი მრავალ ათასი წლების შემდეგაც,—გაიფიქრა ოთარმა.

უღრან პირველყოფილ ტყეში სიცოცხლე—დუღს. აქა-იქ მდინარის ნაპირს ისმის, როგორ ამტვრევენ ცვრიან ნორჩ ხეებს და ჭლეკენ მცოცავ ბუჩქებს. ვეება ხეების ძირებში დაძრწიან ვეება ლანდები.

აი, მთვარის შუქით განათებულ პატარა ველზე გადირბინა ვეება ტახების ჯოგმა. მათ უკან შემდეგ გამოვიდა რაღაც საშინელი მხეცი. მარტორქაა?!. მაშ რათა აქვს სპილოსებური გრძელი ხორთუმი?!

სპილოა?! მაშ რათ ამოსვლია თავზე ეს ვეება რქა? ეს სპილოც არის და მარტორქაც, უფრო კი ჩვენი დროის მარტორქას ჰგავს: ისეთივე სქელი, დანოჭებული ტყავი აქვს ჩვენი მარტორქის მსგავს ტანზე. მხოლოდ გრძელი ხორთუმით ჰგავს ის ჩვენს სპილოს. საშინელმა მხეცმა გაიარა მინდორი და ხშირ ტყეში მიიმალა. კიდევ დიდხანს ისმის ხეების ლაწალუწი მის ფეხებქვეშ და მცოცავი მცენარეების გლეჯის ხმა.

ჩუ, ველზე ფრთხილად გამოვიდა ირემი. მშვენიერი, ამაყი ირემი, ბევრად უფრო დიდი ჩვენი დროის უდიდეს ირემზე. რა გრძელი და ლამაზი რჯღები გაუშვერია ლამაზ, ამაყ თავზე. ირემი დაიხარა, უნდ. მოჰგლეჯოს ბალახი, მაგრამ უცებ შეკრთა და გაიმართა წელში... უკვე გვიანლაა: მკვირცხლად, ერთი ნახტომით, თითქოს გადმოფრინდაო, ვეება ვეფხვი დაეცხრა ზურგზე. რამოდენიმე წამს გასტანა ბრძოლამ და დიდი, ლამაზი, ამაყი ცხოველი ძირს დაეცა ხერხემალ-გადატეხილი...

ვეფხვი კმაყოფილების ღრიალით ხარბად ჭამდა ჯერ თავისი მსხვერპლის ჯერ კიდევ ცოცხალ, მთრთოლვარე სხეულს...

მაგრამ რამ შეაკრთო საშიშარი მხეცი? რისთვის ასწია გაბრაზებული ბუზღუნით თავი და თავი დანება თავის გასისხლიანებულ ვახშამს?

შორიდან მოისმა რაღაც საშინელი ღრიალი და თანდათან მოახლოვდა. ღრიალმა მოიცვა ტყე, დაჰფარა ყველა ხმაური: სანადიროდ გამოვიდა პირველყოფილი ტყის მეფე, მღვიმის ლომი. ვეებერთელა ლანდმა გადასჭრა მინდორი და ორი საშიშარი მოსისხლე მტერი პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს მკვდარ ირემთან.

ვეფხვი შეკრთა, ბრძოლას ვერ ბედავს, მწარე გრძნობით ატყლაშუნებს თავის დიდ, ფოჩვიან კუდს ზოლებიან მკერდებზე და გამწარებული ღრიალით კბილდაკრეჭილი, გაბრაზებული ეკვრის მიწას და ნელ-ნელა მიხოხავს ხშირი ტყისაკენ.

ნილი მხეცების ტყავებში გამოწყობილნი; ვეფხვ[illegible] ხებით. ნუთუ ეს კაცებია?, პირველყოფილ[illegible] მერე რას უდარაჯებენ, როგორ ფრთხილად, უხმოდ ჩაიმალენ ხეების ჩრდილში. სიჩუმე ისევ ხეების მტკრევის ლაწალუწმა დაარღვია. ტყიდან ნელა, ფრთხილად გამოვიდა მინდორზე ვეება დათვი. ეს ხომ მღვიმეში მცხოვრები დათვია. უთუოდ, გამძღარი ბრუნდება თავის მღვიმეში. იქნება, ბელებიც ჰყავს. მაგრამ უცებ შეჩერდა, შეშინებულმა ასწია წინა ფეხები და ყალყზე შედგა. სწორედ ამ დროს ყოველი მხრიდან შემოერტყენ ლანდები და დაუშინეს ჯოხები. პირველყოფილი დათვის ღრიალმა და პირველყოფილი ადამიანის ყიჟინამ დაარღვია განთიადის მყუდროება. დათვი დაეცა: გაერთიანებულმა ძალამ დამარცხა ტყის გიგანტი.

—

ოთარის თვალწინ გაიარა სხვა სურათებმა, სხვა დღეებმა... საშინელმა დღეებმა... დედამიწის უკა-

შეკრთა ვეფხვი, ვერ ბედავს ბრძოლას.

გამარჯვებული ლომის ღრიალახლა ჰკვეთს და ავსებს ირგვლივ სივრცეს, სჭექავენ ეშვები, დიდრონი და თეთრად ელვარე, სთქვა ირმის თბილ ხორცს, ამტვრევს იმის თბილ ძვლ[illegible]

ლომმა დაასრულა ნადიმი... გამძღარი, [illegible]ნელი ნაბიჯით გადაიარა ველი და შევიდა ტყეში. ადგილას გაჩნდა აფთარის ხროვა, მისცვივდენ ირგვლივ მიდამოებში ზედიზედ. დედამიწა კრუსუნით დანარჩენ ხორცს და ჟყვიტინა ხარხარით ავსებს მიიჩენდა პირს, ხურავდა, რომ კიდევ მრისხანედ დამო. მათ ახლოს ჩაიარა ბეწვიანი სპილოების უზარაზარმა, საშინელმა ხროვამ.

ეს მამონტები!

ნელა, უხმოდ გადაიფრინა ველზე რაღაც ვეება ღამის ფრინველმა.

დილის ნიავმა ააშრიალა ხეები. მთვარე მიიმალა, ტყე დაბნელდა. დილის ბინდმა მოიცვა პატარა ველი. მაგრამ ეს რა ამბავია? ეს რა ლანდებია? გაბურძგვნასკენელმა სულით მობრძავმა გაერთოლებამ შეანძრია და შეაძრწუნა ეს ადგილები.

ის-იყო მზე ამოდიოდა წითლად შეფერილ ჯანყიან დილას. ცეცხლისა და კვამლის სუნი დატრიალდა ჰაერში. დედამიწა თრთოდა, ბორგავდა. საშინელი ნასკლომები და უფსკრულები ჩნდებოდა ირგვლივ მიდამოებში ზედიზედ. დედამიწა კრუსუნით ხსნა ნაპირები.

შორს, თრიალეთის მთებში, მსწრაფლად ამოხ[illegible] ვულკანებმა და გადმოანთხია ცეცხლის ღვართქა, რომლებიც მიეკანებოდენ მის ფერდობზე მტსაკენ და სწვავდენ ირგვლივ ყველაფერს. ცეცხლიალვრებმა წალეკეს ტბები, მდინარეები. თავზარდაცული მხეცები და ადამიანები გარბოდენ, იმათ ინელ ყვირილს და ღრიალს ჰფარავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთრთოლვარე დედამიწის გულიდან ამოხეთქილი გუგუნი და ნაპრალების სკდომის ტკაცანი.

ეს დღე იყო ჯანასაწყალი დღე... ამომსკდარი ცეცხლის ღვარი ჩაეშვა მტკვარსა და აზვირთებულ დიდ მდინარეში, რომელიც მას ერთვოდა. ავარდა ორთქლი ზეცით, აინთო ირგვლივ ტყეში ხანძარი. გავიდა საათი, ორი, მთელი დღე, და აღარაფერი დარჩა დიდებული ფაუნისაგან, ყველაფერი გადასწვა და შთანთქა უღმობელმა ცეცხლმა. მხოლოდ წიაღვარი, ცეცხლოვანი ზღვის ღვარები, რომელიც თანდათან იფერფლებოდა და ქრებოდა, ჯერ კიდევ წითლად ღვიოდა და საშიშრად დადიოდა მთის კალთებზე. ჰაერში კი უძრავად გაჩერებულიყო გახურებული ნისლი.

ოთარი ერთბაშად გამოერკვა... საშინელი სურათი ჯერ კიდევ ედგა თვალწინ: გახურებული ელვარე წიაღვარის ზღვის ზვირთები, მისი მწვავე სინათლით გაჟღენთილი ნისლი...

ირგვლივ კი ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა... ჩუხჩუხებდა პატარა მდინარე ბორჯომი, შრიალებდა ჭადრის ლამაზი ფოთლები, შირიდან ისმოდა რაღაც ფრინველის საამური მელოდიური სტვენა.

რა მოხდა შემდეგ, ამ საშინელი კატასტროფის შემდეგ? ოთარმა დახუჭა თვალები და...

მოაგონდა...

კიდევ გავიდა წლები. წიაღვარი გაცივდა, ქვად გადაიქცა. დაგუბებული მტკვარი ამ ადგილას დიდ ტბად გადაიქცა. უწინდელი მრისხანე დიდი მდინარის მაგივრ, რომელიც მას ერთვოდა, გაცივებული წიაღვარის ზედაპირზე ორი პატარა ღელე მიწანწკარებდა. მტკვარს ყოველდღე მოჰქონდა მთებიდან აფარებული წყალი ტბაში და ყოველდღე უფრო და უფრო ძლიერად აწვებოდა წყალი კლდის კედლებს. ბოლოს გაარღვია კლდის კედელი, გაიკაფა გზა და ჩადგა კალაპოტში მთებსა და მთებს შუა. დაიშალა ტბა, ახმაურდა მდინარე, მხოლოდ ახლა მას ერთვოდა უწინდელი დიდი აზვირთებული მდინარის მაგივრად ორი პატარა ხევი, რომელიც ეშვებოდა ძირს წიაღვარისაგან წარმოშობილი მაღალი კლდეებიდან.

ისევ გავიდა საუკუნეები. ჩრდილოეთიდან დაიძრა ყინული. ნელ-ნელა ჩამოცურდა ის და მოახწია კავკასიამდის. ყინულოვანმა ხანამ შებოჭა სიცივით ქვეყანა. ბორჯომის მთები სქელი თოვლით იყო დაფარული თითქმის მთელი წლის განმავლობაში. მხოლოდ ჩრდილოეთის თხელი და მკისე მცენარეები ხარობდა აქ. თოვლში ჯუჯა, დაბალ ფიჭვებს შობის დაძრწოდენ ჩდილოეთის ნაცრისფერი ირმები და თოვლივით თეთრი მელები.

ისევ გავიდა საუკუნეები, ყინული ისევ მიდიოდა თავის სამშობლო ჩრდილოეთისაკენ. თანდათან გათბა ქვეყანა. ჩრდილოეთის მცენარეები და ცხოველებიც თან გაჰყვნენ და თანდათან ჩვენი დროის მცენარეები და ცხოველები დაბინავდენ მტკვრის ნაპირებზე.

ბოლოს დადგა დრო, როდესაც ისევ გაისმა ტყეებში პირველყოფილი ადამიანის ყვირილი და მისი ქვის ცულის ხმა.

თავზარდაცემული მხეცები და ადამიანები გარბოდენ.

მას შემდეგ კიდევ გავიდა საუკუნეები და ამ ადგილებში მოვიდა და დასახლდა ოთარის წინაპარი, ქართველთა მოდგმის ხალხი.

— აი, ახლა მე, იმათი შთამომავალი, ვზივარ აქ, იმ ადგილებში, სადაც იმდენი რამ გადახდენიათ იმათ თავს, ჭირი და ლხინი, ჯაფა და ბრძოლა, და დამშვიდებით ვიგონებ ამ მიწაწყლის წარსულს, — ფიქრობდა ოთარი.

— სიკვდილი და ცეცხლი ბობოქრობდა ოდესღაც აქ.

მას შემდეგ ყველაფერი გამოიცვალა: წიაღვრით გადალესილი დიდი მდინარის ნაშთმა, ორად გაყოფილმა ღელეებმა, ღრმად გათხარა დედამიწა, გაჰკვეთა წიაღვარი და მის ქვეშ არსებული ქვის ფენი. ახლაც არის გაჭვავებული წიაღვარი ხეობის ზედა ნაპირებზე. კლდოვანი ზედაპირი კი დაფარა მიწის ფენმა და ზედ დიდებულმა ტყემ გაიხარა. ადამიანმა ააშენა სახლები და ქოხნები იქ, სადაც ცეცხლის ზღვა ბობოქრობდა.

თითქოს სრულიადაც არ მომხდარიყოს ეს საშინელი კატასტროფა, მაგრამ ნამდვილად კი წიაღვარის გაცივებული გაქვავებული ფენები აქ სჩანს ყველ გან, ყოველი ფეხის გადადგმაზე.

ჯერ კიდევ არ აღგვილი დაარ განიავებულა ის ვეებერთელა ქვები, რომლებიც გაამტვრია და გადმოაგორა მტკვრის ვეება ტბის ძლიერმა ზვირთებმა. მაგრამ უმთავრესად კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საშინელი კატასტროფის დროს მიწისქვეშეთა წყაროები გაიტეხინა, გოგირდით, რკინით, რადიოაქტიური ნივთიერებით.

დაუშინეს ჯოხები.

ამ წყაროების წყლებმა ამოსჩქეფა დედამიწის ზედაპირზე. ხალხი სვამს ამ წყლებს, ბანაობს შიგ და იკურნება სნეულებისაგან. მაშინ, მრავალი საუკუნეების წინეთ თრიალეთის მთის გულიდან ამოხეთქილ ვულკანების ცეცხლმა სიკვდილი და განადგურება მოიტანა, ახლა კი იმის შედეგს მოაქვს ადამიანთათვის განკურნება, ჯანსაღობა.

ბორჯომის კურორტი განთქმულია მთელ ქვეყნიერებაზე და ათასობით სხეულ იწვევს განსაკურნებლად...

ასე ფიქრობდა პატარა მდინარე ბორჯომის ნაპირას მჯდომარე ოთარი.

მზე სიცილით აყრიდა თავის სხივებს მდინარის კამკამა შხეფებს და ალივლივებდა მას. წყალი თამაშით მირბოდა ქვებზე კლდის ნაპრალებიდან, აქა-იქ მომსკდარი კენჭი თითქოს ცეკვით გადმოხტებოდა კლდის კედლიდან შხაპუნით ხტებოდა წყალში და იძირებოდა, თავისი მოძმეების შეყვითლებული ფოთოლი ნაზი სწდებოდა ხეს, გვერდით ნელა ეშვებოდა ხმაური ტალღებზე და მიჰყვებოდა მათ ათრთოლებული.

ხევში გაინავარდა ქარმა და ააშრიალა ფიქვის ტყე...

კ. ლეო.

„მუშათა და გლეხთა შვილების ამოცანაა—
სწავლა, სწავლა და სწავლა“.

ლენინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კედლის გაზეთი და მისი ამოცანები.

ალბათ ბევრი ცნობისმოყვარე ბავშვი იკითხავს: „რისთვის არსებობს გაზეთები? რა საჭიროა ისინი?"

ყოველ ადამიანს აინტერესებს გაიგოს ის, თუ რა ხდება მის გარშემო, რა ხდება არათუ მარტო იმ ქალაქში ან სოფელში, რომელშიაც ის ცხოვრობს, არამედ მთელ სახელმწიფოში, მთელ ქვეყნიერებაზე. ყოველდღე დედამიწაზე მრავალი სხვადასხვა შემთხვევა ხდება. ინგლისში ხდება მუშათა გაფიცვები, საფრანგეთში ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას სკვლის მეორე, გერმანიაში ცნობილი მეცნიერი ახალ აღმოჩენებს აქვეყნებს, ს. ს. რ. კ-ში იხსნება საბჭოების ყრილობა და სხვ. ყველა ეს ახალი ცნობები იბეჭდება გაზეთებში და რამოდენიმე მილიონი ადამიანი ჰკითხულობს მას, გაიგებს, თუ რა მოხდა ქვეყნიერებაზე.

მაგრამ გაზეთი გვიამბობს არა მარტო სხვადასხვა შემთხვევების შესახებ, არამედ გვიმარტავს კიდეც, თუ როგორ უნდა შევხვდეთ ამ შემთხვევებს; გაზეთი აძლევს თავისი მკითხველების შეხედულებებს ამა თუ იმ მიმართულებას. თუ, მაგ. დებეშების განყოფილებებში მოთავსებულია მოკლე შენიშვნა ჩინელი ფეიქრების გაფიცვის შესახებ, მაშინ მოწინავეში (ე. ი. გაზეთის წერილში, რომელიც მოთავსებულია პირველ გვერდზე) სწერია, თუ რას ნიშნავს ეს გაფიცვა, როგორ უნდა გავიგოთ ის.

გარდა ამისა, გაზეთებში ათავსებენ სხვადასხვა მოწოდებებს და სახელმძღვანელო წერილებს.

ბურჟუაზიული და პროლეტარული გაზეთი.

ჩვენ ვთქვით, რომ გაზეთი ასწავლის თავის მკითხველს, როგორ უნდა შეხვდეს, როგორ უნდა მიიღოს ესა თუ ის მოვლენა. აქედან ცხადია, რომ სხვადასხვა გაზეთი სხვადასხვაგვარად ახსნის ამა თუ იმ შემთხვევას. მაგ. კომუნისტური გაზეთი სრულიად სხვაგვარად შეხედავს და შეაფასებს ჩინელი ფეიქრების გაფიცვას, ვიდრე ბურჟუაზიული გაზეთი. პირველი იქნება გაფიცულ მუშათა მხარეზე, მეორე—ბურჟუაზიის მხარეზე, რომლის წინააღმდეგაც იბრძვიან ეს მუშები.

დასავლეთ ევროპის და ამერიკის დიდ გაზეთებს, რომელთაც ათეული და ხშირად ასეული ფურცლები აქვს, რომლებშიაც მუშაობენ ასეული მუშები, კორესპონდენტები, მხატვრები, ფოტოგრაფები და სხვები,—ბურჟუები და მათი მოსამსახურეები განაგებენ. ბურჟუების ფულით არსებობს გაზეთები კაპიტალისტურ ქვეყნებში და, რასაკვირველია, ყველა ეს გაზეთები სწერენ მხოლოდ იმას, რაც სასარგებლოა ბურჟუაზიისათვის, რაც თვალებს აუხვევს, გონებას დაუბნელებს მშრომელ ხალხს და მდიდრების საწველ ფურად გახდის მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი იცავენ ბურჟუაზიის ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული გაზეთები იქ, სადაც ბატონობს კაპიტალი, მეტად შევიწროებულია. ის არსებობს მხოლოდ მუშათა გროშების დახმარებით. მრავალი კომუნისტური გაზეთი საიდუმლოდ იბეჭდება და ვრცელდება, რადგანაც თავისუფლად არსებობის უფლებას არ აძლევს მას ბურჟუაზია.

საბჭოთა სახელმწიფოში კი ჟურნალ-გაზეთები მუშების და გლეხების ხელშია, ის მძლავრი იარაღია მისი კლასური მიზნების განსახორციელებლად.

რა ევალება პიონერთა ჟურნალ-გაზეთებს?

ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია სულ ახალი ორგანიზაციაა. განსაკუთრებით შეიძლება ეს ითქვას საქართველოს ორგანიზაციაზე. თავისთავად ცხადია, რომ პირველ ხანებში საზოგადოების ფართო მასები ვერ ერკვევიან ახლად აღმოცენებული ორგანიზაციის იდეებში; ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს. ჟურნალ-გაზეთებ-

ბავშკორი სწერს შგრიდს...

ბი,—როგორც ამბობს ლენინი,—ყოველთვის არის პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრი და საფუძველი. ის აწარმოებს ფართო მასებში პროპაგანდას, აკავშირებს და ამტკიცებს ორგანიზაციას, უკეთ რომ ვთქვათ, გაზეთები ხალხის კოლექტიური ორგანიზატორია. პიონერთა ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ჩვენ უნდა შევძლოთ პიონერთა ორგანიზაციის იდეების პოპულარიზაცია მშრომელთა ფართო მასებში. მან უნდა შეაკავშიროს, ჩამოაყალიბოს თვით პიონერთა ორგანიზაცია და, რაც მთავარია, **პიონერთა ჟურნალ-გაზეთები** უნდა გახდეს **კომუნისტური** აღზრდის მძლავრი იარაღი.

როგორ არსდება კედლის გაზეთი?

პიონერთა კედლის გაზეთი თვით პიონერთა თაოსნობით არსდება კოლექტივთან ან ფორპოსტთან სკოლაში. უკანასკნელ შემთხვევაში ის წარმოადგენს საერთო საკლასო კედლის გაზეთს.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ირჩევს **პიონერ-კოლექტივის**, ფორპოსტის ან **მოწაფეების** საერთო კრება.

უნდა ვეცადოთ, რომ გაზეთის მუშაობაში პიონერთა რაც შეიძლება მეტი ნაწილი ჩავაბათ. არ უნდა ექნეს ადგილი ისეთ გარემოებას, რომ პიონერებმა კედლის გაზეთი რედკოლეგიის მონოპოლიად გამოაცხადონ.

ამისათვის საჭიროა ხშირად იცვლებოდეს გაზეთის რედკოლეგია.

რედკოლეგიის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი პიონერი.

როგორი უნდა იყოს კედლის გაზეთის შინაარსი?

თუ იციან პიონერებმა კედლის გაზეთის ამოცანები, მაშინ მათ ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ მისი შინაარსიც. არის ისეთი კედლის გაზეთი, რომელსაც აქვს თითქმის 15—20 განყოფილება. ეს ყოვლად წარმოუდგენელი ამბავია.

უმთავრესი და საჭირო განყოფილებები კედლის **გაზეთში** ასეთი უნდა იყოს: 1) **მოწინავე**, 2) **ჩვენს** კოლექტივში, 3) **მუშაობა** სკოლაში, 4) **კომკავშირი** და მისი მუშაობა, 5) **ბავშთა** შემოქმედება, 6) **ოქტომბრელების** კუთხე, 7) **პიკორთა** და **ბავშკორთა** კუთხე და 8) **ჩვენი** ფოსტა.

რაში მდგომარეობს ამ განყოფილებების შინაარსი?

მოწინავეში საუბარია იმ ამოცანების შესახებ, რომელიც სდგას **კოლექტივის** წინაშე და რომელიც შესრულებული უნდა იქნას განსაზღვრული დროის განმავლობაში.

განყოფილებას—ჩვენს კოლექტივში—უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს გაზეთში; აქ მოთავსებული წერილები და **შენიშვნები** უნდა ეხებოდეს **პიონერთა** და **ბავშთა** ყოფა-ცხოვრებას, **კოლექტივის** კავშირს **პარტიასთან** და **კომკავშირთან**, **კოლექტივის** მუშაობის ცალ-ცალკე საკითხებს (**მაგ.** ფიზიკური აღზრდა, **საერთო-საზოგადოებრივი** მუშაობა („**რემედას**“ „**წერკუმსი**“) და სხვა.

აქ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა შუქდებოდეს **კოლექტივის** მუშაობის **როგორც** უარყოფითი, ისე **დადებითი** მხარეები.

აუცილებელია გამოიყოს განყოფილება: **მუშაობა სკოლაში.** აქ უნდა შუქდებოდეს ფორპოსტის მუშაობა, პიონერთა პირადი სწავლა სკოლაში, დამოკიდებულება მასწავლებლებთან და შეუკავშირებელ მოწაფეებთან, სასკოლო საკითხები და სხვა.

განყოფილება: **კომკავშირი და მისი მუშაობა** ხელს უნდა უწყობდეს კომკავშირში შესასვლელად პიონერთა მომზადებას. მასში გასაგები ენით უნდა შუქდებოდეს კომკავშირის მუშაობის ამოცანა და პრაქტიკა, აცნობდეს მკითხველებს კომკავშირის ყოფა-ცხოვრებას. აქ საერთო სტატეებით არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ უნდა იწერებოდეს ის, რაც კომკავშირის ადგილობრივ მუშაობას და ცხოვრებას ეხება.

პიონერთა და ბავშვთა შემოქმედებას აუცილებლად უნდა დაეთმოს შესაფერისი ადგილი. **ჩვენი შემოქმედების კუთხეში** საჭიროა თავსდებოდეს პიონერთა და შეუკავშირებელ ბავშვთა მიერ დაწერილი ლექსები და პატარა მოთხრობები.

პიონერებს ჰყავთ თავისი შემცვლელი **ოქტომბრელები.** კედლის გაზეთში მათ უნდა დაეთმოს პატარა განყოფილება—ოქტომბრელთა ცხოვრებაზე და მუშაობაზე, როგორ უნდა ვაწარმოოთ მათი აღზრდა და სხვა.

პიკორთა და ბავშკორთა კუთხე უპირველეს ყოვლისა აშუქებს პიკორების და ბავშკორების მუშაობას და ცხოვრებას, და აგრეთვე აძლევს სახელმძღვანელო მასალას პიკორებს და ბავშკორებს (როგორ და რაზე ვწეროთ, როგორ გავაშუქოთ გაზეთში მიმდინარე ამოცანები და სხვ.) ეს განყოფილება სასარგებლო იქნება არა მარტო პიკორებისათვის და ბავშკორებისათვის, არამედ ყველა იმ ბავშებისათვისაც, რომლებიც ემზადებიან წერისათვის.

„ჩვენი ფოსტა“ ში-კედლის გაზეთის რედაქცია პასუხს აძლევს გამოგზავნილი წერილების ავტორებს.

აქ არ უნდა თავსდებოდეს უსარგებლო და უსირცხვილო პასუხი, როგორიცაა, მაგ. ,,შენი შენიშვნა არ დაიბეჭდება“, „შენ წერა არ შეგიძლია“. ასეთ უხეშ პასუხებს მხოლოდ ზიანი მოაქვს ბავშებისათვის, აიძულებს მათ, თავი დაანებონ წერას. ,,ჩვენი ფოსტა‘‘-ში ყოველთვის გარკვევით და ფართედ თავსდება ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, თუ რატომ არ დაიბეჭდა ესა თუ ის წერილი, შენიშვნა. საჭიროა არა გინება, არამედ დახმარება, ხელმძღვანელობა.

რასაკვირველია, მარტო ამ განყოფილებებით არ ამოიწურება კედლის **გაზეთის** შინაარსი. ბავშების სურვილით ის შეიძლება გაფართოვდეს. მაგალითად, შეიძლება შემოღებულ იქნას განყოფილება: ,,ჩვენი ნაკლი‘‘, ,,როგორ ცხოვრობენ ჩვენი ძმები უცხოეთში“, ,,გართობის კუთხე‘‘, ,,მეცნიერება და ტეხნიკა“ და სხვ. მაგრამ საერთოდ არ ღირს, რომ ბევრი განყოფილების მოთავსებას მივდიოთ.

რომ გაზეთი მიმზიდველი იყოს, საჭიროა მასალა იწერებოდეს გარკვეული ხელით და დიდ ასოებით (არა ფანქრით, არამედ მელნით). წერილებს მოკლე და გარკვეული სათაურები უნდა ჰქონდეს; დიდი წერილების მოთავსებას გვერდი უნდა ავუხვიოთ.

გაზეთს სიგრძე ნაკლები უნდა ექნეს, ვიდრე სიგანე. მაგ. 1 არშინი სიგრძე და 2—2½ არშინი სიგანე.

სასკოლო კედლის გაზეთი.

მასში ძირითადი მასალა უნდა იყოს: სკოლის ცხოვრება, სწავლა და მუშაობა. სასკოლო კედლის გაზეთმა პიონერთა ირგვლივ უნდა შემოკრიბოს და დარაზმოს შეუკავშირებელი ბავშები.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით კოლექტივის კედლის გაზეთზე, მაშინ ჩვენს წინაშე მკითხველი იყვნენ დარაზმული პიონერები. ისინი შეკავშირებული არიან ერთმანეთთან განსაზღვრული პიონერული დისციპლინით, კანონებით, ჩვეულებებით. სკოლაში კი სულ სხვა საქმეა. იქ არიან პიონერებიც და შეუკავშირებელი ბავშვებიც. არიან ისეთი შეუგნებელი მოსწავლეებიც, რომლებიც ემტერებიან პიონერებს, ზეკიდან დაჰყურებენ მათ. არიან კიდევ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც თავის ვალდებულებებს სკოლაში ნაკლები პასუხისმგებლობით ეპყრობიან, ვიდრე პიონერი თავისი კოლექტივის მეცადინეობა-მუშაობის. ამიტომ სასკოლო კედლის გაზეთის ამოცანაა—შესძლოს ბავშების შემჭიდროება. ამავე მიზეზით სკოლაში უნდა გამოდიოდეს ერთი საერთო სასკოლო გაზეთი და არა სასკოლო ცალკე და პიონერთა ცალკე. თუ პიონერ-კოლექტივი დაკავშირებულია თავისი მუშაობით ქარხანასთან, სოფელთან და სხვა,—ადგილს უთმობს და აშუქებს მათ თავის კედლის გაზეთში. თუ სკოლა დაკავშირებულია პიონერ-კოლექტივთან და სკოლის გარეშე მუშაობასთან—ადგილი უნდა დეთმოს ამ დარგის მუშაობას კედლის **გაზეთში.**

ზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ. პ.

პიონერების ცხოვრება და მუშაობა

სკოლა და უმეთვალყურო ბავშვები.

ზადონო-კავალიცის სტანიცაში არის მრავალი ისეთი უმეთვალყურო ბავში, რომელნიც სკოლაში ვერ მოხვდენ.

სკოლამ ყველა ისინი ჩაიბა წრეების მუშაობაში. იმის მაგივრად, რომ ბავშვები დარბოდენ ქუჩებში, ისინი მუშაობენ მოწაფეებთან ერთად სხვადასხვა წრეებში.

მუშაობა სასკოლო მეურნეობის დარგში.

ნალჩიკში (ჩრდილოეთ კავკასია) პიონერ სახლს მისცეს საცდელი მინდორი, რომელზედაც სხვადასხვა კულტურული მცენარეები და ბუჩეულობა დავთესეთ.

მაგრამ მოსავალი არ იყო მაინცდამაინც კარგი იმიტომ, რომ ნიადაგი მწირი იყო, თუმცა ვანოყიერებდით სხვადასხვა სასუქებით.

ამ მინდორში ყოველდღე დავდიოდით 5-8 ბავშვი, ხოლო რამდენიმეჯერ კი მთელი კოლექტივი წავედით ბალახების სათხრელად.

როდესაც დაგვითხოვეს საზაფხულოდ (3 თვეს), ჩვენ ვმუშაობდით ჩვენს მეურნეობაში: ვცელავდით თივას, ვთხრიდით კართოფილს, თავს ვუყრიდით ხორბალს და სხვა.

25 ავგისტოს დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ვსწავლობთ კარგად.

პიონერი.

გზებსაც აკეთებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ორლოვი (ჩრდილოეთ კავკასია) დიდი სოფელია, იქ მაინც ყველაფერი თავის რიგზე არ იყო. ეს, მაგ., გაზაფხულზე და ზაფხულში თითქმის არც კი შეიძლებოდა სოფელში არც ფეხით და არც ცხენით გავლა: ყველგან

მეტად ღრმა ჭაობი იყო. მოწაფეებმა ჩაატარეს შაბათობა, რამოდენიმე აღგილას აძოაშრეს ჭაობი და მშვენიერი გზა გაკეთეს.

სოფლელები ძლიერ გაახარა ბავშვების ასეთმა საზოგადოებრივმა მუშაობამ.

ჩვენც უნდა მივბაძოთ მათ.

ჩვენი ძმები მსოფლიოში

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა საფრანგეთში.

1925 წლის სექტემბერში მოსკოვში ჩატარდა ბავშთა კომჯგუფების ხელმძღვანელების მე-2 საერთაშორისო კონფერენცია. აქედან იწყება გამოცოცხლება ყველა საზღვარგარეული ბავშთა კომჯგუფების. საფრანგეთშიც ამ ხნიდან იწყება ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ნამდვილი განვითარება. როგორც ვიცით, ბავშთა კომუნისტური ჯგუფები საფრანგეთში 1921 წლიდან არსებობენ. ისინი აღმოცენდენ პირველი საერთაშორისო ბავშთა კვირეულის ჩატარების დროს. პირველ ხანებში ისინი სუსტად ვითარდებოდენ, რადგან არ იყო შესაფერისი ხელმძღვანელობა კომკავშირის მიერ.

1925 წლის ხელმძღვანელთა საერთაშორისო კონფერენციამ ჩაუყარა მტკიცე საფუძვლები ბავშთა მოძრაობას ყველა ქვეყნებში. გამომუშავებულ იქნა ორგანიზაციული დებულება, რომლის საფუძვლებზე იწყეს გაერთიანება ბავშთა კომჯგუფებმა. საფრანგეთში ბავშთა კომჯგუფებს „მუშათა და გლეხთა ბავშების კავშირი“ ჰქვიან. თუ წინეთ კომკავშირი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ, დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია.

კომკავშირის მტკიცე უშუალო ხელმძღვანელობით საფრანგეთის ბავშთა კომჯგუფებმა სწრაფი განვითარება იწყეს, განსაკუთრებით 1926 წლიდან. ამ დროს იქ იყო 44 ჯგუფი 1500 წევრით. ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთში პიონერთა ორგანიზაცია მაინც და მაინც არ გაზდილა. ამისი მიზეზები უნდა ვეძიოთ მათი განვითარების არახელსაყრელ პირობებში: საფრანგეთი ბურჟუაზიული ქვეყანაა. იქ სდევნიან მუშათა ორგანიზაციებს, იქ დევნას განიცდის პიონერთა ორგანიზაციაც. გარდა ამისა, არ ჰქონდათ მუშაობის ერთიანი მტკიცე მეთოდი, მეორე ჯგუფი იყო ძველი ჩვეულებების გავლენის ქვეშ, ყველა ეს კი ასუსტებდა ორგანიზაციის განვითარებას. ბრძოლა მტკიცე ერთიანი მუშაობის შემოღებისთვის, ბრძოლა ორგანიზაციის შეკავშირებისთვის, გაერთიანებისთვის, ბრძოლა ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ,—აი საფრანგეთის პიონერების მორიგი ამოცანები. ამ ამოცანების სწორედ შეთვისებამ და ენერგიულმა მუშაობამ გამოიწვია ორგანიზაციის განვითარება: ამ უკანასკნელ ხანებში იქ 3,000 პიონერია.

ბრძოლა სკოლაში.

საფრანგეთის პიონერების ერთ-ერთი ამოცანას შეადგენს სკოლაში გამეფებული რეაქციონური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. იქ ჯერ კიდევ გამეფებულია ბავშების ფიზიკური დასჯა, ე. ი. გალახვა. გარდა ამისა, სკოლებში ასწავლიან რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და განსაკუთრებით პროლეტარი ბავშები განიცდიან შევიწროებას სამღვდელოების მიერ. სკოლა ისე აწარმოებს მუშაობას, რომ მოზარდი თაობა ბურჟუაზიულ წყობილებას დაუმონოს, ასწავლიან ბურჟუაზიულ სიმღერებს, აძლევენ საკითხავად ბურჟუაზიული სულისკვეთებით გაჟღენთილ წიგნებს: უნდათ, რომ მოზარდი თაობა კაპიტალისტური წყობილების ყურმოჭრილი მონა გახადონ. რა თქმა უნდა, პროლეტარი ბავშები ვერ შეეგუებიან ასეთ რეჟიმს სკოლაში, პროლეტარი ბავშები უნდა იდგენ თვით პროლეტარიატის რიგებში და უნდა ებრძოლონ საფრანგეთის სკოლების რეჟიმს. ასეთ ბრძოლას მეოდგრად აწარმოებენ პიონერები. ისინი შეკავშირებულად, ორგანიზაციულად გამოდიან იმ გამოთახსირებელი მუშაობის წინააღმდეგ, რომელსაც აქვს ადგილი საფრანგეთის სკოლებში. ისინი ებრძვიან სკოლებში ბავშთა ფაშისტურ ჯგუფებს, აწარმოებენ ბრძოლას საბჭოთა ქვეყნების შესახებ სკოლაში ყალბი ცნობების გავრცელების წინააღმდეგ და სხვ.

ბრძოლა ბურჟუაზიული ომების წინაალმდეგ.

ბურჟუაზიული ომები სწარმოებს მისთვის, რომ ბურჟუაზია კიდევ უფრო გამდიდრდეს. ომი ერთ-ერთი საშუალებაა, რომლითაც დიდი სახელმწიფოს ბურჟუაზია იმონებს და იმორჩილებს პატარა ერებს. დაპყრობილი ერები ცდილობენ თავის განთავისუფლებას და საშინელი სისხლის ღვრა იმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ბურჟუაზია გამუდმებით აწარმოებს ბრძოლას მაროკოსა და სირიის წინააღმდეგ. მაროკო და სირია იბრძვიან თავის განსთავისუფლებლად საფრანგეთის ბურჟუაზიისგან, რომელიც ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს მაროკოსა და სირიის მშრომელთა განთავისუფლების იდეა. საფრანგეთის მუშათა კლასი წინ აღუდგა ბურჟუაზიის ამ გასისხლიანებულ მოქმედებას. პიონერებმა შესძლეს თავისი წვლილის შეტანა მაროკოს ომების საწინააღმდეგო მუშაობაში, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთის კომპარტია. პიონერები კომკავშირთან და პარტიასთან ერთად აწარმოებდენ აგიტაციას მაროკოს ომის წინააღმდეგ, ჩატარებულ იქნა საპროტესტო კამპანია სკოლებში შემოღებული ფულის იძულებითი შეკრების შესახებ: ეს ფული საფრანგეთის ბურჟუაზიას მაროკოში და სირიაში წარმოებული ომებისთვის სჭირდებოდა. გარდა ამისა, საფრანგეთის პიონერების ბრძოლა ომის წინააღმდეგ გამოიხატება 1914 წლის ომის მე-12 წლისთავზე ჩატარებულ კამპანიაში, სადაც მთ მოზარდ თაობას აუხსნეს და განუმარტეს ის საშინელება, რომელიც მოჰყვა შედეგად 1914 წლის ომს. ისინი აწარმოებენ მედგარ ბრძოლას მომავალი მოსალოდნელი ომის წინააღმდეგაც.

ეხმარებიან კომპარტიას და კომკავშირს.

საფრანგეთის პიონერები უკვე ეჩვევიან მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებას. მუშათა კლასის დაბალი ხელფასი და ცუდი პირობები ამ კლასის ბავშვებზეც ახდენს გავლენას. ამიტომ ბავშვებიც აქტიურად იბრძვიან, ისინი მონაწილეობას იღებენ კომპარტიის და კომკავშირის მიერ ჩატარებულ დემონსტრაციებში და კამპანიებში. ამ კამპანიების ჩატარების დროს ისინი ასეთი ლოზუნგებით გამოდიან: „ძირს ბავშთა ჩაგვრა და ექსპლოატაცია“, „ძირს ბავშთა უმწეობა“. ისინი მოითხოვენ თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუჯობესებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთის წარმოებაში ჩაბმულია ბევრი პროლეტარი ბავში, რომელნიც ძალიან მცირე ხელფასს იღებენ.

რომ ნათლად დავინახოთ, თუ რა მიზნებს და ამოცანებს ისახავენ საფრანგეთის პიონერები, მოვიყვანთ მოწოდებას, რომელიც გამოუშვეს მათ მე-6-ე ერთაშორისო კვირეულის ჩატარების დროს.

აი, რა სწერია ამ მოწოდებაში:

პროლეტარო ბავშო!

შენ იცი, თუ როგორ ცხოვრობენ შენი მშობლები. შენი მამა და დედა მუშაობენ ქარხანაში; თავისი ჯამაგირით მათ არ შეუძლიათ [illegible] თავიანთი თავი და შენც გარჩენონ. ამავ დროს შენ ხედავ, თუ როგორ ცხოვრობენ ბურჟუების ბავშვები: ისინი არაფერს არ აკეთებენ, ცხოვრობენ განცხრომაში, რადგან შენი მშობლების შრომით მათი მამები სიმდიდრეს იძენენ.

შენ, პროლეტარო ბავშო, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეგსრულებია 13 წელი, ან ჯერ არც კი ხარ 12 წლის, იძულებული ხარ წახვიდე ფაბრიკაში, მაღაროებში, რომ იშოვო რამდენიმე კაპიკი. შენც ისეთი ექსპლოატაციის მსხვერპლი ხარ, როგორისაც შენი მშობლები.

გლეხის ბავშო!

შენი მდგომარეობა და შენი ცხოვრება ისეთია, როგორიც შენი ამხანაგების, პროლეტარი ბავშების, ქალაქში: მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის შენ მუშაობ მდიდარ გლეხებთან.

თქვენ ყველანი მსხვერპლი ხართ კაპიტალიზმის.

მოსწავლენო!

სკოლაში თქვენ გასწავლიან მას, რაც მოუხდებათ ბურჟუებს, გამხედრებენ თქვენი მამების წინააღმდეგ, გასწავლიან პატივი სცეთ ბურჟუაზიულ მთავრობას, გასწავლიან იცნოთ „დიდება და სიმშვენიერე რეპუბლიკის“, სადაც „პატონობს ხალხი“.

მაგრამ ეს ხალხი — მშრომელებია, რომელნიც იტანჯებიან, რომელთაც ჰყვლეფენ; მათ ექსპლოატაციას ეწევიან ქარხნებში; ისინი ცხოვრობენ უმწეო მდგომარეობაში, მათ ჰგზავნიან ფრონტებზე, სადაც მოელიან სიკვდილს, რომ ბურჟუებმა ახალი სიმდიდრე შეიძინონ.

პუანკარეს ხელისუფლება განაგრძობს ბრძოლას მაროკოსა და სირიაში, ეს არის სიკვდილი ახალგაზრდა მუშების, ეს არის მდგომარეობის გაუარესება და შიმშილი ყველა მშრომელთათვის და მათი ბავშებისთვის“.

თუ ჩვენ ღრმად ჩავუკვირდებით ამ მოწოდებას, დავინახავთ, რომ საფრანგეთის პიონერების ბრძოლა ცარიელი სიტყვები კი არ არის, არამედ ეს არის პატარა მებრძოლების გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, პრაქტიკულ მუშაობაში განსახორციელებელი, მიზნები, ეს არის პროტესტი იმ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც არის დღეს საფრანგეთში, ეს არის პროლეტარი ბავშების რიგების შემჭიდროება ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პიონერები კომკავშირთან და კომპარტიასთან ერთად იბრძვიან ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ.

ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მათ.

ნოვინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა მეგობარი

ლენინის სურათთან.

ჩუ!.. ეს ვისი სურათია
ამნაირად შემკობილი,
ან რად არის ათასფერად
დიდებულად მოწყობილი?..
—ეს ის არის, ვინც ღარიბებს
თანაგრძნობა გაუწია,
და ვინც მათთან თანასწორად
მწარ-უღელი ჭირში სწია!..
ეს ის არის, ვინც ღარიბებს
გაუთენა ნათელ დილა.
და ბრძოლაში წმინდა კვალი
წაუშლელად აღბეჭდილა!..
ეს ის არის, ვინც შესწირა
ჩაგრულ ხალხსა თვისი თავი,
და თვითონ კი გმირულადა
მან იხილა მიწა შავი!..

პიონერი **რევაზ გაბიჩვაძე.**

შვიდ ნოემბერს!

მოვიკაზმოთ, შვიდ ნოემბერს
გავიარ-გამოვიაროთ,
სიხარულით და სიმღერით
შრომის დროშა ვიფრიალოთ!
გამარჯვების სიხარულით
სიმღერა ავაწკრიალოთ,
ვინც ხელს გვიშლის და გვღალატობს—
მოვსპოთ და გავატიალოთ.
ვინც რომ ვიცნოთ ასეთები,
ის არავინ არ დავინდოთ,
ათას კაცში გამოვიცნოთ,
არ დავფაროთ, გარდავგდოთ!

შალვა ჩხიკვაძე.

სალამო

ჩე მიიმალა
ბორს, მთებს გადაღმა,
ალარ სჩანს სხივი,
მთლად მიიწურა,
და შავს ღრუბელსა
ამოეფარა
ოქროსა სხივი
ლამაზი, ტურფა.
ბნელმა მოიცვა
მით არემარე,
დაბნელდა შავად
მთელი მიდამო,
ქვეყანას ძინავს
ამ სიბნელეში.
შუალამეა.
აგერ კიდეც
მთვარე ამოდის,
ღამის გუშაგი,
და გაანათა
მით არემარე.

მარიამ მარგველაშვილი.

პიონერი

ჩვენ, პიონერნი, ახალგაზრდანი,
მედგრად დავიცავთ დღევანდელ დღესა
და ჩვენი შრომით, ჩვენი ოფლითა
ჩვენ გავახარებთ მუშათა ხალხსა.

—

მა'შ, ჩემო ძმებო და ჩემო დებო,
გავწიოთ წინ, წინ მედგრად, უშიშრად,
და გადავთელოთ სპეკულიანტი,
გავუხდეთ იმას დაუზოგველ მტრად!

პიონერი **შოთა ფერიაშვილი.**

მუშათა კლასს.

საერთოდ მუშათა კლასი
დიდი ხნის დაჩაგრულია,
ადრეე დაედგა უღელი,
დიდი ხნის დატანჯულია.
ჩაგრული დიდხანს ომობდა,
რომ გამოეშვა თავია,
მჩაგვრელი იმას ცდილობდა,
მისთვის გაეძრო ტყავია.
დღეს გაიმარჯვა ჩაგრულმა,
აღმართა დროშა წითელი,
აწი მეც იმათ გავყვები
და მათ დროშის ქვეშ ვიქნები.

ა. ქვარიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ



ᲑᲣᲠᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲑᲣᲠᲘᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲥᲕᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲠᲘᲐ ᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲖᲚᲘᲐᲖᲔ ᲜᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲑᲣᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲭᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲐᲜ, ᲬᲧᲐᲚᲥᲔᲛᲐ ᲙᲚᲓᲔᲔᲑᲡ ᲐᲡᲙᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮ.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲒᲖᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲮᲠᲣᲜᲒᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲔᲣᲞᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘ ᲑᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ.



ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲣᲐᲒᲚᲐ ᲑᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲤᲐᲜᲢᲐᲚᲐᲓ.

ᲔᲡ ᲨᲣᲐᲒᲚᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲘᲐ:

ᲑᲣᲠᲘᲡ ᲢᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲐᲧᲠᲘᲐᲜ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲓᲔᲜᲘᲚ ᲡᲘᲚᲡᲐ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲑᲣᲠᲘ ᲩᲐᲚᲐᲠᲐ ᲘᲤᲐᲜᲢᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲐᲛᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲬᲘᲠᲝᲑᲔᲜ ᲑᲣᲠᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲗᲘ ᲒᲐᲯᲔᲠᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ. ᲑᲣᲠᲡ ᲛᲘᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲣᲓᲐᲜ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲔᲡ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲓᲔᲜᲘᲚᲘᲗ, ᲓᲐ ᲑᲣᲠᲘ ᲘᲛᲬᲣᲐᲛᲡᲕᲔ ᲘᲤᲐᲜᲢᲔᲑᲐ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲝᲠᲜᲐᲘᲠᲘᲔᲒ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲡ ᲪᲓᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲭᲠᲝᲜ ᲑᲣᲠᲘ ᲓᲘᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲒᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲘᲜᲓᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲑᲣᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲪᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲜᲒᲐᲠᲘᲨᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲠᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 10.000.000 ᲛᲐᲜ. ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ.

ᲪᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲖᲚᲘᲐᲠᲣᲚ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲒᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲗ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲙᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲔᲜᲘ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲣᲓᲐᲜ ᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ.

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲮᲐᲜᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲚᲐ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚ- ᲓᲐᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲓ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛ- ᲠᲝᲜᲔᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ, ᲘᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲒᲘᲡ ᲐᲛᲐ- ᲙᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲡ, ᲑᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲐᲚᲘ ᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ-



მომუშავე ბული ელექტრონი იყრის თავს აკუმულიატორში და შემდეგ ინაწილებენ ფერმერები განათებისა, გათბობისა და სხვა საჭიროებისათვის.

მზის ლაქები და დედამიწა.

უკვე რამოდენიმე ათეული წელიწადია, რომ მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება მზის ლაქებსა და დედამიწაზე ბუნების მოვლენებს შორის კავშირს. ამ დროის განმავლობაში მუდამ თვალყურს ადევნებდენ და ბევრი რამ საგულისხმიერო აღმოაჩინეს. შეამჩნიეს, რომ რაც მეტი ლაქა გამოჩნდებოდა მზეზე, მით უფრო მეტად თბილოდა დედამიწაზე. მზის ლაქები თუ ნაკლები იყო, დედამიწაზე სიცივე მატულობდა.

ამას გარდა მეცნიერებმა აღმოაჩინეს აგრეთვე მზის ლაქების კავშირი ჩრდილოეთის ნათებასთან და დედამიწის მაგნეტიზმთან: თუ მზეზე ლაქებმა იმატა, მატულობს ჩრდილოეთის ნათების რიცხვი და ნათებაც უფრო მძლავრი; მზის ლაქების მაგნეტიზმის სიმრავლე სცვლის დედამიწის მაგნეტიზმის თვისებას.

ეს კავშირი ამდენ ხანს არ იყო გამორკვეული და გაუგებარი იყო. ამასწინეთ ცნობილმა ამერიკელმა ასტრონომმა გალემ აღმოაჩინა შემდეგი: მზის ლაქები არის გავარვარებული აირი, ანუ ქარიშხალი, უზომავრესად წყალმბადისაგან შემდგარი. ლაქები არის ანდამატის ზოლები, რომელიც შეიცავს დიდ ანდამატის ძალას; ლაქების ირგვლივ ხშირად საშინელი აფეთქება ხდება.

ცხადია, აფეთქება იტაცებს სივრცეში წყალმბადის ატომებს გავარვარებული ნაწილებს. ეს ნაწილები აწწევენ დედამიწამდის და ჰმატებენ მას სითბოს. ეს ნაწილებში მოქმედებს მაგნეტიზმი. ეს ძალა მოქმედებს დედამიწაზე, რევს მის მაგნეტიზმს, მაგნიტის ისარი ირყევა. დედამიწის ზოგ ადგილებში მაგნიტის მიმართულება მატულობს ზოგან კი კლებულობს.

მზიდან მოფრენილი ნაწილები ატმოსფერის ზედა გათხელებულ ფენებში ხვდებიან ერთმანეთს და ანათებენ მათ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩრდილოეთის ნათება უფრო მძლავრია.



წრეულს მთელ ქვეყნიერებაზე უცნაური ამინდები: ხან ძალიან ცივა, ხან ცხელა. ხსნიან ამას ისევ მზის ლაქების გავლენით: 22-23-24 წლებში ლაქები მზეზე ცოტა იყო. მზიდან ვლებულობდით ნაკლებ სითბოს. იმატა ყინულმა დედამიწის პოლუსებზე. 25-26 წლებში მზის ლაქების რიცხვმა საოცარად იმატა; სითბოც მზიდან მეტი მოდიოდა, პოლუსებზე ყინული დნებოდა და იქიდან ამოვარდნილი ცივი ქარი უბერავდა. როდესაც მზიდან მეტი სიცხე მოდის, დედამიწის პოლუსებიდან გაყინული ცივი ქარი ჰქრის და ამინდიც ზოგან ცხელია, ზოგან ცივი. შემდგომ წლებში მოსალოდნელია თბილი ამინდები: სითბოს მზე ბევრს მოგვცემს, პოლუსებზე ყინული ისე სწრაფად აღარ დადგება და, მაშასადამე, ცივი ქარებიც შესწყდება.



ლეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასოები.

ფაბრიკანტები და მუშები.

მოთამაშენი წრეს აკეთებენ, ხელგაშეებულნი დგანან და მარჯვენა ხელში ჩალიჩა უკავიათ. წრეში ჩადგება ხუთი პიონერი, რომლებიც ფაბრიკანტებს წარმოადგენენ. მათ თვალებს აუხვევენ და წრის შუაგულში ჩააყენებენ, ზურგით ერთმანეთისკენ. ფაბრიკანტებთან წრეში შევა მუშათა დელეგაცია (სამი კაცისაგან შემდგარი) და სთხოვენ მათ შრომის მძიმე პირობების შემსუბუქებას. როდესაც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იტყვის „შეგვიმსუბუქეთ მძიმე უღელი“, ფაბრიკანტები იმ წამსვე ადგილიდან დაიძვრიან და ხმით სცდილობენ დელეგაციის მიგნებას და ჩალიჩის დარტყმას, მაგრამ მუშათა დელეგაციის წევრები წრეში სირბილს დაიწყებენ. თვალახვეული ფაბრიკანტები მათ დასდევენ, მაგრამ ხშირად შეცდომით ერთმანეთს ურტყაენ ჩალიჩას. თუ რომელიმე ფაბრიკანტი წრეს გადასცდა, წრის ირგვლივ მდგომ მუშებს (და არა დელეგაციას) უფლება აქვთ დაარტყან ჩალიჩა ფაბრიკანტს. ფაბრიკანტი, რომელსაც სამჯერ მოხვდება ჩალიჩა, თამაშს თავს ანებებს, ხოლო როდესაც ყველა ფაბრიკანტები გავლიან წრიდან, თამაში ხელმეორედ იწყება.

გასართობი № 2.



აქ დახატულ ფიგურაში ისე ჩასვით ასოები, რომ მივიღოთ შემდეგი სიტყვები:

ვერტიკალურად:

1. სახელი მისი, რასაც აშენებენ მტკვარზე.
2. დამის მნათობი.
3. ეროვნების წარმომადგენელი.
4. ქართველი პოეტი.
5. ოქტომბრის ბელადი.
6. დაკინვა უცხო ენაზე.
7. სახელი ყვავილის.

ჰორიზონტალურად:

8. დღის მნათობი.
9. კავკასიონის ქედის ერთი მწვერვალ[illegible]
10. სოციალიზმის პირველი მოძღვარ[illegible]
11. სახელმწიფო ევროპაში.
12. მდინარე კახეთში.
13. მდინარე ქართლში.
14. ინგლისის დიდი პოეტი.
15. ცეცხლს რა ახლავს თან?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ბეგია შვილის მიერ)



ქ. ოზურგეთის შვიდწლედის ფორპოსტს და თვითმართველობას — მოგვაწოდეთ წერილები თქვენი მუშაობის შესახებ.

ქ. ტფილისის ამხ. მ. ორახელაშვილის და ამხ. ს. გეგეჭკორის სახელობის კოლექტივებს (მე-4 რაიონი)—მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ცხოვრების და საქმიანობის შესახებ.

კ. ბ—ეს (ტფილისი)—თქვენი ლექსი ძლიერ სუსტია. მასში არ არის დაცული არც ლექსთა წყობის წესები, არც გრამატიკული გამოთქმები. გამოგვგზავნეთ კიდევ ლექსები, შეიძლება გამოგვადგეს. საერთოდ კი მომავალში უნდა გაეცნოთ პოეტების ნაწარმოებს, დაუკვირდეთ მათ, გაარჩიოთ ის და სხვა, ყველაფერი ეს დიდ დახმარებას გაგიწევს თქვენ.

მ. ცქვიტინიძეს—თქვენი ლექსი „ზღვა ბობოქრობს“ წავა შემდეგ ნომერში. გვიგზავნეთ შემდეგშიაც.

ა. მახარაძეს—თქვენი პიესა სუსტია, როგორც შინაარსით ისე შესრულებით. მოგვაწოდეთ სხვა მასალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრიდან

გამოვა 1926 წ. გამოვა

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი 1

(„წითელი სხივი"-ს მაგიერ)

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეროვნული წმენდის, ორგანიზაციის ეროვნული კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ:

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა. ჟურნალი ღირს გადაგზავნით

წელიწადში—5 მან.
ექვს თვეს—3 მან.
სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი"-ს და „ნაპკადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—1/XI—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 1512. შეკვ. № 1404/201 ტირაჟი 3000.